



საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2018 წლის სექტემბერში საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ მნიშვნელოვანი და საინტერესო ცვლილებები არ შესულა.

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონპროექტი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტის თანახმად, განვადებით ნასყიდობისას გამყიდველის მიერ 200 000 (ორასი ათას) ლარამდე ნივთის ფასის მიღება არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული (კოდექსის მოქმედი რედაქციით აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება 100 000 ლარამდე ღირებულების ნივთებზე). ამასთან, 100 000 ლარიდან 200 000 ლარამდე იზრდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ლიმიტი ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით ისეთ ხელშეკრულებებზე, როგორცაა ლიზინგი, სესხი და საბანკო კრედიტი. შესაბამისად, თუ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების ღირებულება შეადგენს 200 000 ლარზე ნაკლებს, საზღაურის მიღება, სესხისა და კრედიტის გაცემა უნდა

განხორციელდეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილების მოთხოვნები არ ვრცელდება ამ ცვლილების ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, ხოლო სესხის/საბანკო კრედიტის შემთხვევაში, აგრეთვე ამ ცვლილების ამოქმედებამდე დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის/საბანკო კრედიტის ამ ცვლილების ამოქმედების შემდეგ გადავადების, რესტრუქტურისაციისა და რეფინანსირების შემთხვევებზე, თუ ეს ხდება თავდაპირველ გამსესხებელთან/საბანკო კრედიტის თავდაპირველ გამცემთან ხელშეკრულების დადებით.

საქართველოს ორგანული კანონის პროექტი შრომის უსაფრთხოების შესახებ

საქართველოში სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში შედის ცვლილებები შრომის უსაფრთხოების თაობაზე, რამაც წარმოშვა შრომის უსაფრთხოების შესახებ ახალი კანონის მიღების აუცილებლობა, რომლიც პროექტიც განიხილება საქართველოს პარლამენტში.

კანონპროექტის არსს წარმოადგენს, განისაზღვროს შრომის ბაზარზე ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგში არსებული საწარმოებისთვის შრომის უსაფრთხოების კუთხით ოპერირების ერთიანი სტანდარტი. დადგინდეს ქმედითი და ეფექტური აღსრულებისა და ინსპექტირების მექანიზმის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საჭირო სამართლებრივი ბაზისი.



გამიჯნოს და დაკონკრეტდეს დამსაქმებლის, დასაქმებულის, მათ შორის უსაფრთხოების დაცვაზე პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი პირის და შრომის ინსპექციის უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობის ფარგლები, რაც გახდება შრომითი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების, შრომის ნაყოფიერებისა და ცნობიერების ამაღლების, სამუშაო ადგილებზე ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის გარანტი.

მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების რეგისტრაცია

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის #381 დადგენილების თანახმად, განისაზღვრა საქმიანობათა ჩამონათვალი, (რომელთა რაოდენობაც აღემატება სამასს) რომელიც საჭიროებს რეგისტრაციას სამეწარმეო რეესტრში. საქმიანობის რეგისტრაციის ვადამ გადაიწია 2018 წლის 30 ოქტომბრამდე. რეგისტრაციის ვადის დარღვევის შემთხვევაში აღნიშნული საქმიანობების განმახორციელებელ პირებს დაეკისრებათ ჯარიმა, რომელიც არ ათავისუფლებს მათ სავალდებულო რეგისტრაციისგან.

რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობებში შედის: სხვადასხვა სახის მშენებლობა; ლითონის წარმოება; სამთომომპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება; კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება;

სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება; ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება; ქიმიური წარმოება; ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება; რეზინის, პლასტმასის და სხვა არალითონების წარმოება; მერქნის დამამუშავებელი წარმოება; ტანსაცმლისა და ტყავის წარმოება; კვების პროდუქტების წარმოება; სახმელეთო, წყლის და საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებული სამუშაოები; წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავება და სხვა;

რეგისტრაციას დაქვემდებარებული საქმიანობების სრული ჩამონათვალი მოცემულია ზემოაღნიშნულ დადგენილებაში.

მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საინტერესო გადაწყვეტილება გამოიტანა საცხოვრებელი სახლის პრივატიზებისთვის საჭირო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.

მოსარჩელე ითხოვდა იმ საცხოვრებელი სახლის პრივატიზებას, სადაც ჩაწერილი იყო, ცხოვრობდა და საკუთარი სახელით იხდიდა კომუნალურ გადასახადებს 1955 წლიდან 60 წლის განმავლობაში.

პრივატიზაციის თაობაზე მოსარჩელემ თავდაპირველად მიმართა შესაბამის გამგეობას, შემდგომ გამგების უარი გაასაჩივრა მერიაში, ხოლო მერიის უარი - პირველი და მეორე



ინსტანციის სასამართლოებში, თუმცა მისი არც ერთი საჩივარი არ კმაყოფილდებოდა იმ მიზეზით, რომ მას არ გააჩნდა მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი ბინის ორდერი, აღმასკომის გადაწყვეტილება ან სხვა დოკუმენტი.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებდნენ მოსარჩელის მიერ საცხოვრებელი ბინის ფლობის ფაქტს, თუმცა უძრავი ნივთის ფლობის და სარგებლობის რაიმე სამართლებრივი საფუძველი მოძიებული და სასამართლოში წარმოდგენილი ვერ იქნა და შესაბამისად, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში, სადაც მისი საჩივარი დაკმაყოფილდა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება, ასევე იჯარის, ქირავნობის, აღნაგობის, სერვიტუტის, უზუფრუქტის ან იპოთეკის უფლება რეგისტრირებული არ არის;
- საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების დადგენას, არის თუ არა მოსარჩელე დაკავებული ფართის კანონიერი მოსარგებლე და სადავო ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში

გადაცემის უფლების მქონე სუბიექტი, შესაბამისად, შეფასება უნდა მიეცეს იმ უმნიშვნელოვანეს საკითხს, წარმოადგენს თუ არა სადავო ბინაში მისი რეგისტრაციის ფაქტი საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს;

- სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე 1955 წლიდან იმ დროს არსებული „ჩაწერის ინსტიტუტის“ საფუძველზე, რეგისტრირებულია სადავო ბინაში;
- საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საბჭოური „ჩაწერის ინსტიტუტი“ განსხვავებით დღეს მოქმედი კანონმდებლობით რეგულირებულ საცხოვრებელ ბინაში რეგისტრაციისა, ნიშნავდა საცხოვრებელი ადგილის არსებობას. იმდროინდელი კანონმდებლობის საფუძველზე ბინაში ჩაწერა წარმოადგენდა სახლის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უტყუარ დამადასტურებელ საბუთს. ამდენად, ის გარემოება, რომ პირი ჩაწერილი იყო მითითებულ საცხოვრებელ სადგომში, ქმნიდა საცხოვრებელ ფართზე მის კანონისმიერ უფლებებს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის საჩივარი და შესაბამის რაიონულ გამგეობას დაავალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელისთვის საცხოვრებელი სახლის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.



 **BAKER TILLY**
GEORGIA

 An independent member of
BAKER TILLY
INTERNATIONAL

წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უნდა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 7, ზამზის რიგის ქუჩა
(მანთაშევის რიგები) 0105, თბილისი.

(+ 995 32) 2438 999

office@bakertillygeorgia.ge

www.bakertillygeorgia.ge

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited-ი ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International-ი არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არ აქვს უფლებამოსილება დააკავშიროს რამე თავის ქმედებასთან Baker Tilly International-ი ან იმოქმედოს Baker Tilly International -ის სახელით. არც Baker Tilly International-ი, არც შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International-ის ქსელის რომელიმე სხვა წევრი არის რამე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly-ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited-ის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.